საქართველო

30587-01-2-201807201737

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/30587
20/07/2018

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

გიგზავნით გაერო-ს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტის, ბატონი მიროსლავ ლაიჩაკისა და გაერო-ს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჯგუფის თავმჯდომარის, ქალბატონი მარი ჩატარდოვას წერილებს, რომლებიც ეხება 2018 წლის 26-27 სექტემბერს, ქ. ნიუ-იორკში (აშშ), გაერო-ს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიის გენერალური დებატების ფარგლებში დაგეგმილ მაღალი დონის შეხვედრებს თემებზე: „Fight against tuberculosis" და "Prevention and control of non-communicable diseases".

აღნიშნული წერილებით, გაერო-ს წარმომადგენლები თხოვნით მიმართავენ წევრ სახელმწიფოებს, წარადგინონ კანდიდატურა ზემოხსენებული შეხვედრების თანა-თავმჯდომარის (მ/წლის 31 ივლისამდე) და სპიკერის (მ/წლის 15 აგვისტომდე) პოზიციებზე.

გაერო-ს შემდგომი ინფორმირების მიზნით, გთხოვთ, შესაბამისი ვადების გათვალისწინებით, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ზემოხსენებულ შეხვედრებზე კანდიდატურების წარდგენასთან დაკავშირებით.

დანართი: 4 გვერდი.

პატივისცემით,
თეა მაისურაძე

დეპარტამენტის დირექტორი
საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი